კოდიფიცირებული

დამტკიცებულია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3 დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის
შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

1. საგანმანათლებლო (საბაკალავრო. ერთსაფეხურიანი განათლების, სამაგისტრო, სადოქტორო) პროგრამები და სასწავლო კურსების სილაბუსები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეფასდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების/რეკომენდაციების შესაბამისად და თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით/კრიტერიუმებით (დანართი 2,3,4,5); *(02.02.2024 წ; N24/7).*

2. სასწავლო ლიტერატურის/სახელმძღვანელოების შეფასება ხორციელდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თვისობრივი კრიტერიუმებით (დანართი 1);

სასწავლო ლიტერატურა/სახელმძღვანელო ხელნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისთვის გადაეცემა შესაბამის საწავლო დეპარტამენტში/-ებში მისი განხილვის შემდეგ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, მისი ხელმძღვანელის და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობით, სახელმძღვანელოს არსებითი, თვისობრივი ექსპერტიზისთვის გამოიყოფა კომპეტენტური ორი სპეციალისტი-ექსპერტი - აკადემიური დოქტორი. *(02.02.2024 წ; N24/7).*

ექსპერტების შეფასებები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია (ა. ნაშრომი არ აკმაყოფილებს სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ მოთხოვნებს; ბ. ნაშრომი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სახელმძღვანელოსადმი წაყენებულ მოთხოვნებს და საჭიროებს დახვეწას; გ. ნაშრომი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს რეკომენდებულია მისი სახელმძღვანელოდ გამოცემა და გამოყენება) (ექსპერტების კონფიდენციალობის დაცვით) შემდგომი განხილვისათვის გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტს და დეკანს. *(02.02.2024 წ; N24/7).*

ექსპერტების შეფასებების სრულყოფილი ორიგინალები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სახელმძღვანელოს განხილვიდან 3 წლის განმავლობაში, შემდეგ კი გადაეცემა თსსუ-ის არქივს. თსსუ-ში ადრე დამტკიცებული, გამოცემული და შესაბამის სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოების ზემოდასახელებული კრიტერიუმებით შეფასდება ამ სახელმძღვანელოების მეორედ გამოცემის დროს, თუ ამის საჭიროება დადგება.*(02.02.2024 წ; N24/7).*

3. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეფასებისთვის გადაეცემა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურში მათი ტექნიკურ-სტრუქტურული ექსპერტიზის შემდეგ;

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მისი ხელმძღვანელის და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობით სამაგისტრო და სადოქტორო (მათ შორის - სადოქტორო კვლევის) პროგრამების არსებითი, თვისობრივი ექსპერტიზისთვის, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით, გამოიყოფა პროგრამის პროფილით კომპეტენტური ორი სპეციალისტი-ექსპერტი - აკადემიური დოქტორი.*(02.02.2024 წ; N24/7).*

5. სამაგისტრო პროგრამის შეფასება ხორციელდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თვისობრივი კრიტერიუმებით (დანართი 2);

6. სადოქტორო კვლევის პროგრამის შეფასება ხორციელდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმებით ასქულიანი სისტემით (დანართი 3); *(02.02.2024 წ; N24/7).*

6.1. სადოქტორო კვლევის პროგრამა რეკომენდებულად ითვლება შემდგომი განხილვისთვის და შესაბამისი რეკომენდაციით გადაეცემა მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს საექსპერტო შეფასებების A (91-100 ქულა), B (81-90 ქულა) ან C (71-80 ქულა) მიღების შემთხვევაში.

6.2. თუ ორი ექსპერტიდან ერთი ექსპერტის შეფასება არის D (61-70 ქულა), E (51-60 ქულა) ან F (≤50 ქულა), ხოლო მეორისა – A (91-100 ქულა), B (81-90 ქულა) ან C (71-80 ქულა), ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ექსპერტთა სხდომის ჩატარებას და შეჯერებული საექსპერტო დასკვნის შემუშავებას.

თუ ექსპერტთა შეჯერებული დასკვნით პროგრამა ერთმნიშვნელოვნად (დადებითად ან უარყოფითად) ვერ შეფასდება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოყოფს მესამე ექსპერტს-სპეციალისტს.

თუ მესამე საექსპერტო შეფასება იქნება A (91-100 ქულა), B (81-90 ქულა) ან C (71-80 ქულა), პროგრამა ყველა ექსპერტის დასკვნითურთ გადაეცემა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს შემდგომი განხილვისათვის; თუ მესამე საექსპერტო შეფასება იქნება D (61-70 ქულა), E (51-60 ქულა) ან F (≤50 ქულა), პროგრამა, ყველა ექსპერტის დასკვნითურთ და სხვადასხვა ხარისხის შესწორებების რეკომენდაციით, დაუბრუნდება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს.

6.3. კვლევის პროგრამის ხელმძღვანელის/-ების კომპეტენციის და გამოცდილების, ასევე, პროგრამის განხორციელებისთვის მის შესრულებაში ჩართული დაწესებულებების და სტრუქტურების შესაბამისობის და საკმარისობის შეფასება წარმოადგენს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა პასუხისმგებლობის საკითხს.

6.4 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია და ექსპერტების დასკვნები (ექსპერტების კონფიდენციალობის დაცვით) გადაეცემა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურს. ექსპერტების დასკვნების სრულყოფილი ორიგინალები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამის განხილვიდან 4 წლის განმავლობაში, შემდეგ კი გადაეცემა თსსუ-ის არქივს.*(02.02.2024 წ; N24/7).*

7. სასწავლო კურსების/დისციპლინების სილაბუსები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეფასდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თვისობრივი კრიტერიუმებით (დანართი 4);

8. საგანმანათლებლო (საბაკალავრო. ერთსაფეხურიანი განათლების, სამაგისტრო, სადოქტორო) პროგრამები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეფასდება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით/კრიტერიუმებით (დანართი 5). *(02.02.2024 წ; N24/7).*

02.02.2024 წ.; N24/7

კოდიფიცირებული

დამტკიცებულია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3
დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის
შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

დანართი 1

<u>სახელმძღვანელოს შეფასების სავალდებულო კრიტერიუმები</u>

- შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს;
- სრულად ასახავს სასწავლო კურსის სილაბუსს;
- შეიცავს უახლეს ინფორმაციას;
- თანდართული აქვს ბიბლიოგრაფია;
- დაცულია საავტორო უფლებები;
- დაცულია მომიჯნავე საგნებთან ინტეგრაციის პრინციპი;
- გათვალისწინებულია სტუდენტის საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი ცოდნის დონე;
- დაწერილია გასაგები ენით;
- სტილი და მართლწერა დაცულია.

<u>სახელმძღვანელოს შეფასების რეკომენდებული კრიტერიუმები</u>

- მოცემულია დამატებითი ინფორმაციის წყაროები;
- თანდართულია თვითშეფასების ტესტები და/ან კლინიკური შემთხვევების აღწერა;
- აქვს საგნობრივი საძიებელი;
- დაიბეჭდება ხარისხიან ქაღალდზე (წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად);
- დაიბეჭდება ფერადი პოლიგრაფიით (წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად);
- შრიფტის ზომა დაცულია (წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად). *(02.02.2024 წ., N24/7).*

კოდიფიცირებული

დამტკიცებულია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3
დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის
შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

დანართი 2

სამაგისტრო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

1. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ძირითადი სამიზნე საკითხები:

- პროგრამის აქტუალობა:
  - დარგობრივი თვალსაზრისით,
  - ლოკალური მნიშვნელობის თვალსაზრისით;
- პროგრამის ამოცანები:
  - ზოგადი,
  - სპეციფიკური;
- პროგრამის მიზნობრივი შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან;
- პროგრამის ხელმძღვანელის(-ების) კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის მიზანთან და შედეგებთან;
- პროგრამის მსგავსება/განსხვავება/შესაბამისობა პროგრამა-ანალოგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). *(02.02.2024 წ; N24/7).*

2. სამაგისტრო პროგრამის შინაარსობრივი დახასიათება

ძირითადი სამიზნე საკითხები:

- პროგრამის მოცულობა (ECTS);
- სტუდენტთა აუდიტორიული დატვირთვის, საწარმოო/პრაქტიკული დატვირთვის და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი მოცულობის თანაფარდობა;
- პროგრამის კურიკულუმის შესაბამისობა პროგრამის მიზანთან და შედეგებთან;
- პროგრამაში გაერთიანებული სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსების ხარისხი;
- პროგრამაში გაერთიანებული სასწავლო კურსების/მოდულების შინაარსობრივი შესაბამისობა პროგრამის მიზანთან და შედეგებთან; პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის ამოცანებთან. *(02.02.2024 წ; N24/7).*

3. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ძირითადი სამიზნე საკითხები:

- რესურსების აღწერილობა;
- რესურსების საკმარისობა პროგრამის მიზნის და ამოცანების შესრულებისათვის.

4. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები

ძირითადი სამიზნე საკითხები:

- შესაბამისი საბაკალავრო/დიპლომირებული სპეციალობების ჩამონათვალი;
- პროგრამაზე მიღების სხვა წინაპირობები (თუ არის);
- მიღების პირობების შესაბამისობა და საკმარისობა პროგრამის მიზნის მისაღწევად.

5. მაგისტრატურაში სწავლის და კვლევის შეფასების წესი:

ძირითადი სამიზნე პოზიციები:

- სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი;
- კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი.

6. **პროგრამის შედეგი:**

<u>ძირითადი სამიზნე პოზიციები:</u>

(უმაღლესი განათლების II საფეხურის კვალიფიკაციის აღწერილობის შესაბამისად)

<u>ძირითადი სამიზნე პოზიციები:</u>

ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამა იძლევა დარგის/ქვედარგის ღრმა და სისტემური ცოდნას, მათ შორის - ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რაც მნიშვნელოვანწილად ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ უახლეს ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას. აღნიშნული მიიღწევა სწავლის ან/და მომავალი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, პროცედურების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის კომპეტენციით. მას უნდა შეეძლოს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის - უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების განსაზღვრა, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. კურსდამთავრებულს ექნება ცოდნის კონტექსტში ჩასმის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ცოდნის გახსენებას, შერჩევას, იდენტიფიცირებას, ინტერპრეტირებას, კლასიფიცირებას, ახსნა-განმარტებას, შეფასებას, სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას.
უნარი	მაგისტრატურის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს მოქმედება ახალ და მულტიდისციპლინურ გარემოში, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; მას აქვს დავალების შესრულების, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის უნარები.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებულს შეეძლება ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით მიღებული ცოდნისა და უნარების გამოყენება, სახელდობრ, სასწავლო, კვლევის ან სამუშაო კონტექსტში პასუხისმგებლობით მოქმედებისა და საკუთარი სწავლისა და განვითარების შესაძლებლოების იდენტიფიცირება და წარმოჩენა. *(02.02.2024 წ; N24/7).*

7. **პროგრამის მოთხოვნადობის ფაქტობრივი მაჩვენებელი.**
8. **სამაგისტრო პროგრამის ღირებულების და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შედეგების მიღწევის ინტერესებთან.**
9. **მაგისტრატურის კურსდამთავრებულის (მაგისტრის) დასაქმების სფერო(-ები).**

დასკვნა: ----------

კოდიფიცირებული

დამტკიცებულია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3
დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის
შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

დანართი 3

სადოქტორო კვლევის პროგრამის შეფასების კრიტერიუმები

1.	პროგრამის არსებითი, დარგობრივი და თემატური ურთიერთშესაბამისობა	0-3 ქულა
2.	პროგრამის შესრულების მიზანშეწონილობის არგუმენტირების ხარისხი (სამეცნიერო ლიტერატურის, მათ შორის - ბოლო 5 წლის, მიმოხილვის და ანალიზის მიხედვით)	0-10 ქულა
3.	პროგრამის სამეცნიერო სიახლის ხარისხი	0-17 ქულა
4.	პროგრამის მიზნის და ამოცანების დასახვის/ჩამოყალიბების ხარისხი და ურთიერთშესაბამისობა *(02.02.2024 წ; N24/7).*	0-12 ქულა
5.	კვლევის დიზაინის მეთოდური და მეთოდოლოგიური ნაწილის შესაბამისობა კვლევის ამოცანებთან *(02.02.2024 წ; N24/7).*	0-12 ქულა
6.	კვლევის შედეგების სარწმუნობის და დამაჯერებლობის შერჩეული კრიტერიუმები	0-7 ქულა
7.	კვლევის მოსალოდნელი შედეგების პროგნოზული თეორიული და პრაქტიკული ღირებულება	0-15 ქულა
8.	პროგრამის სტრუქტურული და ენობრივი გამართულობა	0-3 ქულა
9.	პროგრამის შესრულების ეტაპობრიობის და ვადების დაგეგმვის ხარისხი	0-6 ქულა
10.	სასწავლო კომპონენტის თავსებადობა სადოქტორო პროგრამის კურიკულუმთან *(02.02.2024 წ; N24/7).*	0-5 ქულა
11.	პროგრამის ხარჯთაღრიცხვის რელევანტურობა (პირველადი შეფასების სახით)	0-5 ქულა
12.	სასწავლო კომპონენტის თავსებადობა კვლევის არსთან *(02.02.2024 წ; N24/7).*	0-5 ქულა
	პროგრამის ჯამური შეფასება	**0-100 ქულა**

91-100 A - ფრიადი
81-90 B - ძალიან კარგი
71-80 C - კარგი
61-70 D - არასაკმარისი: პროგრამაში არის ხარვეზები, ძირითადად - არაპრინციპული ხასიათისა, რომელთა შესწორების შემდეგ პროგრამამ შეიძლება დააკმაყოფილოს სადოქტორო კვლევის პროგრამისადმი წაყენებული მოთხოვნები; შესწორებული სახით პროგრამის წარმოდგენის ვადა - არაუადრეს 1 თვისა.
51-60 E - არადამაკმაყოფილებელი: პროგრამა მნიშვნელოვნად შესაცვლელია, შესწორებული სახით მისი წარმოდგენის ვადა - არაუადრეს 3 თვისა.
≤50 F - სრულიად არადამაკმაყოფილებელი: პროგრამა მთლიანად შესაცვლელია, შესწორებული სახით წარმოდგენის ვადა - არაუადრეს 6 თვისა. *(02.02.2024 წ; N24/7).*

კოდიფიცირებული

დამტკიცებულია
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3
დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის
შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

დანართი 4

სილაბუსის შეფასების პრინციპები/კრიტერიუმები

სასწავლო კურსი/მოდული	
დეპარტამენტი/მიმართულება -	
ფაკულტეტი (რომელზეც ისწავლება) -	
საგანმანათლებლო საფეხური -	
მოქმედების ვადა -	

I. სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო კურსის აღწერილობა

აუცილებელი კომპონენტები:

- კურსის ხანგრძლივობა, ფორმატი,
- მიზანი,
- კურსის წინაპირობები (პრერეკვიზიტები),
- კურსის შინაარსი,
- სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა,
- სასწავლო ლიტერატურა,
- სწავლის შედეგ(ებ)ი.

II. სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო კურსის შესაბამისობა აკადემიურ პოლიტიკასთან და კურიკულუმთან

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- სტუდენტის ჩართულობა სასწავლო პროცესში,
- კურსის სწავლების ფორმები,
- სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის შეთავაზებული ფორმატი, მისი თავსებადობა სტუდენტთა აკადემიური მომზადების დონესთან მოცემულ საგანმანათლებლო საფეხურზე,
- კურსის მნიშვნელობა და როლი პროფესიული მომზადების (მათ შორის - უწყვეტი პროფესიული განვითარების) პროცესში,
- სტუდენტის ცოდნის შეფასების პრინციპები.

III. სასწავლო კურსის მიზანი

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- მიზნის ნათლად ჩამოყალიბების ხარისხი,
- მიზნის შესაბამისობა აკადემიურ და მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან,
- მიზნის შესაბამისობა მომავალი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ- ჩვევების და ანალიზური აზროვნების განვითარების ინტერესებთან.

IV. სასწავლო კურსის წინაპირობები

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- შესაბამისობა მოცემული სასწავლო კურსის შინაარსთან,
- შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამასთან (კურიკულუმთან). *(02.02.2024 წ; N24/7).*

V. სასწავლო კურსის ფორმატი

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- ECTS-ის განაწილება, კრედიტ-მოცულობა,
- ლექცია-პრატიკუმების თანაფარდობა,
- აუდიტორიული (საკონტაქტო) და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის თანაფარდობა და სხვ.

VI. სასწავლო კურსის შინაარსი

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- შესაბამისობა აკადემიური და პროფესიული განათლების ინტერესებთან,
- შესაბამისობა დისციპლინის განვითარების თანამედროვე დონესთან,
- შესაბამისობა კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან,
- შესაბამისობა სასწავლო პროგრამების "ჰორიზონტალური და ვერტიკალური" ინტეგრაციის შესაძლებლობასთან (პროგრამის დუბლირების გამორიცხვით).

VII. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- ცოდნის შეფასების ფორმები,
- ცოდნის შეფასების კომპონენტები და მათი თანაფარდობა,
- სტუდენტთა ინდივიდური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობა,
- სტუდენტის დამოკიდებულების შეფასების შესაძლებლობა ცოდნისა და პროფესიული უნარების შეძენისადმი,
- გამოცდაზე დაშვების წინაპირობების დადგენის კრიტერიუმები.

VIII. სასწავლო ლიტერატურა
(სავალდებულო, რეკომენდებული, დამატებითი)

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- საკმარისობა,
- თანამედროვეობა,
- ხელმისაწვდომობა.

IX. სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება, უნარ(ებ)ი, პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა) *(02.02.2024 წ; N24/7).*

ძირითადი სამიზნე კრიტერიუმები:

- შედეგების ჩამოყალიბების მკაფიობა,
- თავსებადობა სასწავლო კურსის მიზანთან და შინაარსთან,
- შესაბამისობა ვალიდური, ტრანსფერული ცოდნის და მომავალი პროფესიული კომპეტენციის ინტერესებთან.

კოდიფიცირებული

დამტკიცებულია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის N 24/3

დადგენილებით

საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო ლიტერატურის

შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

დანართი 5

კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის				
N	**კრიტერიუმები** *(02.02.2024 წ; N24/7)*	**სამიზნე კითხვები**	**კომენტარი/განმარტება**	**წყარო/დასაბუთება**
1	**2**	**3**	**4**	**5**
1	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**			
1.1	პროგრამის მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან	- პროგრამის არგუმენტირება. - პროგრამის მიზნების შინაარსობრივი და სტრატეგიული შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან.	საგანმანათლებლო პროგრამას აქვს სასწავლო მიზანი/მიზნები, რომელიც აკონკრეტებს სასწავლო პროცესის შედეგს; მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მოკლე აღწერა, მისიის განაცხადი, წესდება, შინაგანაწესი, ფაკულტეტის დებულება და სხვა სამართლებრივი აქტები, განვითარების გეგმა.
1.2	პროგრამის მიზნების დეკლარირების მკაფიობა და განხორციელებადობა	- პროგრამის მიზნების ფორმულირების სიცხადე; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის გზები. - მიზნების თანმიმდევრულობა, შეუსაბამობანი/წინააღმდეგობანი პროგრამის რეალიზებისას და ასეთის არსებობის შემთხვევაში – მათი პროგნოზირების და გადაჭრის გზები. - დასაქმებულობის პერსპექტივის, კურსდამთავრებულთა პიროვნული განვითარების და მოქალაქეობრივი ღირებულებების ასახვა	პროგრამის მიზნები ფორმულირებული უნდა იყოს ნათლად და არაორაზროვნად, თანმიმდევრულად, რეალისტურად. მიზნებში მოცემული უნდა იყოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობები (დასაქმების სფერო, აკადემიური ხარისხები, პიროვნული განვითარება, მოქალაქეობრივი ღირებულებები და ა.შ.).	პროგრამის მიზნები/მიზანი: - სწავლის/სწავლების მეცნიერული საფუძვლები, - სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბება, - პიროვნული განვითარება, - დასაქმებულობა.

1.3	კვალიფიკაცია და კომპეტენცი-ები, რომელთა მიღწევასაც პროგრამა ისახავს მიზნად, მათი შესაბამისობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და დარგობრივ/ საგნობრივ სტანდარტთან.	- მისანიჭებელი ხარისხის და კვალიფიკაციის დონის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან/დარგობრივ კვალიფიკაციებთან/ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.	საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და, არსებობის შემთხვევაში, შესაბამის დარგობრივ დოკუმენტს.	ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, სექტორული/საგნობრივი სტანდარტები.
1.4	პროგრამა აგებულია ECTS–ის მიხედვით და მოდულარული პრინციპით. თითოეული კურსის/ მოდულის კრედიტ-მოცულობა შეესაბამება კურსის/ მოდულის სწავლის მიზანს და შედეგებს	- კრედიტების სისტემის/ მოდულირების განხორციელების პროცესი. - სტუდენტების სამუშაო დატვირთვის ასახვა კრედიტების სისტემაში.	კრედიტების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის აღწერას - სტუდენტების დატვირთვას (მაგალითად, დროის მიხედვით) კურსში/მოდულში მოცემული სასწავლო შედეგების მისაღწევად.	გამოცდის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროგრამის აგებულება, სწავლის შედეგები.
1.5	პროგრამაზე მიღების წინაპირობების მკაფიობა გამჭვირვალობა (ერთსაფეხურიანი, საბაკლავრო, სამაგისტრო, სადოქტორო)	- მიღების/ჩარიცხვის წინაპირობები. - მისაღები გამოცდების პროცედურა, ორგანიზება/ სტრუქტურირება. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების ხელმისაწ-ვდომობა საზოგადოებისათვის. - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან.	ერთიანი ეროვნული გამოცდების გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესაძლოა ჰქონდეთ სპეციალური მოთხოვნები (წინაპირობები) უმაღლესი განათლების კონკრეტულ პროგრამებზე დასაშვებად. ასეთი წინაპირობები უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და შეესაბამებოდეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული ტესტების სირთულეს.	პროგრამაზე მიღების მარეგულირებელი დოკუმენტები.
1.6	პროგრამის მიზანი და განხორციელების სტრატეგია ითვალისწინებს სწავლების, კვლევითი მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას.	- პროგრამის საერთაშორისო ასპექტები და ანალოგები. - რამდენი უცხოელი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე სტუდენტი/მასწავლებელი სწავლობს/ასწავლის კონკრეტული პროგრამის ფარგლებში? - უცხოურ საგანმანათებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა პროგრამის ფარგლებში. - პროგრამაში ჩართული სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა. - კურსები/მოდულები, რომლებიც ისწავლება უცხოურ ენებზე.	საერთაშორისო ბაზრისთვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლება უცხოურ ენებზე (უმეტესად, ინგლისურ ენაზე), ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა (მაგალითად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები სხვა უცხოურ პარტნიორ ორგანიზაციებთან).	პროგრამის ანალიზი ამ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება, სწავლების ენები, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა, კრედიტების სისტემა, პროფესორებისა და სტუდენტების მობილობა (გაცვლა) და ა. შ.

1.7	პარტნიორ დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან/ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა აღწერილია პროგრამის შედეგებთან კავშირში.	- პროგრამის ფარგლებში სხვა დაწესებულებებთან პარტნიორობის არსებობის (მისი არსებობის შემთხვევაში) აღწერა. - პარტნიორობის მიზანი. - რა სახის პარტნიორობაა გამოყენებული სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველსაყოფად?	პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის გარე დაინტერესებულ პირებთან პარტნიორობა ხშირად აუცილებელი რეკვიზიტია. მაგალითად, სტუდენტთა პრაქტიკისათვის ადგილების უზრუნველყოფა ან პრაქტიკული ტრენინგი („ტრენინგი სამსახურში“) რამდენიმე დისციპლინაში; პარტნიორობა, ასევე, შეიძლება იყოს აუცილებელი მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროექტებისათვის (მაგალითად, აუცილებელი მონაცემების შესაგროვებლად) ან კვლევითი ტრენინგისათვის (მაგალითად, პარტნიორობა მეცნიერებათა აკადემიასა თუ კვლევით ლაბორატორიებთან); იგი შესაძლოა სასარგებლო იყოს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ხელშეწყობის თვალსაზრისითაც. პარტნიორები შეიძლება იყვნენ საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო კომპანიები ან სოციალური დაწესებულებები, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.	ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ, პროგრამის აღწერა (პრაქტიკა) და ა. შ.
1.8	პროგრამა მიმართულია და უზრუნველყოფს პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევას და პროგრამის შედეგებში გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას.	- კურიკულუმი შინაარსობრივად თანმიმდევრულად და ლოგიკუ რად აღწერს დასახული კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების განვითარებას. - სავალდებულო და არჩევითი (ელექტიური) საგნების თანაფარდობა.	საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას. კომპეტენციები უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმის კონტექსტში აღწერილია სწავლის შედეგებით, რომლებზეც შესაძლებელია დაკვირვებისა და შეფასების განხორციელება. სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული უნდა იყვნენ მასწავლებლები, სტუდენტები და, შესაძლოა, სხვა მოქმედი პირები.	კურიკულუმი, სასწავლო გეგმა (განაწილება, სასწავლო ცხრილი), გამოცდის მარეგულირებელი დოკუმენტები, კომპეტენციების მატრიცა, შეფასების შედეგები, ნაშრომები.
1.9	პროგრამის თითოეული კურსის/მოდულის შინაარსი/შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.	- კურსის/მოდულის აღწერა და მიზნების შესაბამისობა კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით.	პროგრამის მიზნები უნდა იყოს დაკონკრეტებული ამოცანებად, რომელთა მიღწევაც შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეულ მოდულსა და/ან კურსში. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ თითოეული კურსის/მოდულის სწავლის შედეგები ხელს უწყობს მთლიანი პროგრამის საერთო მიზნების მიღწევას. შესაბამისად, თითოეული კურსი/ მოდული ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ მიზნები და სწავლის შედეგები, მათი დამოკიდებულება პროგრამის მიზნებთან და კრედიტების მოცულობა იყოს ნათელი, არაორაზროვანი და არადუბლირებული.	კურსის/მოდულის აღწერა.

1.10	მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს.	- კვალიფიკაციის ფორმულირების მიზანშეწონილობის (დონესა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში) დაასაბუთება.	ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში თითოეული ხარისხი ასოცირებულია კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების სპეციფიკურ დონესთან. საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრულ დონეს	კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს.
1.11	თითოეული კურსის/მოდულის სასწავლო შედეგებით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევას.	- როგორია კურსის/მოდულის სწავლის შედეგების წილი პროგრამის საერთო შედეგებში. - ზოგადი და საგნობრივი კომპეტენციების აღწერა.	თითოეული კურსი/მოდული ხელს უნდა უწყობდეს პროგრამის სწავლის შედეგების/მიზნების მიღწევას (იხ. 1.11). უფრო მეტიც, სწავლის შედეგები უნდა იყოს დაყოფილი საგნობრივ და ზოგად კომპეტენციებად.	მოდულის აღწერა – სტუდენტთა გამოცდების შედეგები.
2	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**			
2.1	სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.	- სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია და მათ შესაბამისობა კურსის/მოდულის მიზნებთან. - უზრუნველყოფს თუ არა სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები პროგრამაში მოცემული სწავლების შედეგების მიღწევას?	კურიკულუმის ორგანიზება, პროგრამით გათვალისწინებული სწავლება და შეფასების სტრატეგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, თუ კურსის სწავლის შედეგია ის, რომ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ კომპლექსური პრობლემის ნათლად და გასაგებად წარმოჩენა (რიტორიკული უნარების ჩათვლით), სწავლებისა და შეფასების მეთოდები ამ კონკრეტული სწავლის შედეგის შემოწმების საშუალებას უნდა იძლეოდეს. სახელმძღვანელოს წაკითხვა და ტესტირება ამ შემთხვევაში, შესაძლოა, არ იყოს სწავლების სწორი მეთოდი და შეფასების ეფექტური საშუალება.	დიდაქტიკური კონცეფცია, შეფასების გამოქვეყნებული პროცედურები, რეგულაციები და შეფასების მეთოდები, სტუდენტთა შეფასების შედეგები.
2.2	სტუდენტთა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.	- სტუდენტების შეფასების კრიტერიუმების/პროცედურების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.	საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს შეფასების სისტემას ქულათა ფიქსირებული სკალით. ქულათა მაქსიმუმი არის 100. სტუდენტის მოსწრების შეფასების პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული აკადემიური მოსწრების სხვადასხვა კომპონენტი.	მარეგულირებელი დოკუმენტები.
2.3	თითოეული სასწავლო კურსის/ მოდულის სტუდენტის შეფასების სისტემა, მეთოდების და ხერხების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით/მოდულით/კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	- გამოცდის/გამოცდების ტიპი და მათი შესაბამისობა მოდულის/მოდულების სწავლის შედეგებთან. - არის თუ არა გამოყენებული შეფასების სხვადასხვა მეთოდები? რომელი? - არის თუ არა შეფასების კრიტერიუმები ცნობილი საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის?	სტუდენტის ცოდნის შეფასება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია უნივერსიტეტებში. შეფასებას ორმაგი ფუნქცია აქვს – სტუდენტების მიღწევების გაკონტროლება, ასევე, სწავლის პროცესში სტუდენტებისა და მასწავლებლებისა „უკუგების“ უზრუნველყოფა. შეფასების მეთოდები და ფორმები ადაპტირებული უნდა იყოს პროგრამის, კურსისა და მოდულის სწავლის შედეგებთან ისე, რომ მათ რეალურად ასახონ სწავლის მიღწეული შედეგები.	მოდულის აღწერა, წესები და მარეგულირებელი დოკუმენტები.

2.4	საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპები, სტუდენტთა მიღებისა და შერჩევის ჩათვლით, გამჭვირვალეა და უზურნველყოფს პროგრამის წარმატებით დასრულებას დაგეგმილ ვადებში.	- საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპები . - როგორაა ორგანიზებული ფაკულტეტის მენეჯმენტი? - სასწავლო პროგრამის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისა და სტუდენტებისათვის.	საგანმანათლებლო პროგრამა შეიცავს მოდულს ან ოპტიმალურ სასწავლო გეგმას. მნიშვნელოვანია, რომ ეს გეგმა იყოს რეალისტური და სტუდენტთა უმრავლესობისათვის განხორციელებადი პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში.	ფაკულტეტის დებულება, სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების გამჭვირვალე სისტემა, სტატისტიკური მონაცემები (მიტოვების/განთესვის დონე, სწავლის საშუალო ხანგრძლივობა, პროგრამის წარმატებით დასრულების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების საშუალო შეფასების მაჩვენებელი, უცხოელ სტუდენტთა პროცენტული შემადგენლობის მაჩვენებელი), წლიური სტატისტიკა, კრედიტების სისტემა, პროგრამის მენეჯმენტი.
2.5	შერჩევის პროცედურა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების შესაბამისი უნარებისა და მომზადების მქონე სტუდენტების ჩართვას პროგრამაში.	- პროგრამაზე შერჩევის/დაშვების წინაპირობები. - აქვს თუ არა ფაკულტეტს პროგრამაზე მოზიდვის და დაშვების სპეციფიკური მარკეტინგული სტრატეგია? - არის თუ არა დაშვების წინაპირობები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი?	თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მნიშვნელოვანია იმ სტუდენტების მოზიდვა, რომლებიც მოტივირებულნი არიან, შეუძლიათ დაძლიონ პროგრამა და წარმატებით მოიპოვონ კვალიფიკაცია. შესაბამისად, პროგრამის დასაწყისში სტუდენტების სწორად შერჩევა მნიშვნელოვანი ამოცანაა უნივერსიტეტებისათვის.	მიღებისა და შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტები.
2.6	პროგრამაში შემავალი მოდულების/კურსების თანმიმდევრობის ლოგიკურობა (ალგორითმი).	- ვითარდება თუ არა კურსების პროგრესი საბაზისოდან უფრო რთულ საკითხებამდე? საბაზისოდან ვიწრო სპეციალურ დისციპლინებამდე?	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კურსებისა და მოდულების გარკვეული ქრონოლოგიური წყობა. წყობა უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული, კურსები/მოდულები პირველ სემესტრებში უპირატესად ინფორმაციული უნდა იყოს, შემდგომ სემესტრებში კი – უფრო კომპლექ-სური. ცალკეული კურსის/ მოდულის შედეგები სხვა მოდულებში უნდა იყოს გათვალისწინებული. ამასთან, პროგრამის გრაფიკი და გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ სავალდებულო კურსები/მოდულები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.	მოდულის აღწერა, პროგრამა (სასწავლო გეგმა).
2.7	პროგრამაში უზრუნველყოფილია თეორიასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის გაუმჯობესების მიზნით.	- თეორიის და პრაქტიკის შერწყმა/ერთიანობა პროგრამაში. - რამდენად უწყობს ხელს კურსდამთავრებულთა დასაქმებას პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი?	საგანმანათლებლო პროგრამები, ერთი მხრივ, ფოკუსირებული უნდა იყვნენ დისციპლინის თეორიულ ასპექტებზე კვლევით სფეროსა და აკადემიურ წრეებში სამუშაოდ; მეორე მხრივ, ისინი უნდა მოიცავდნენ პრაქტიკულ/გამოყენებით ასპექტებს, რომლებიც მიმართული იქნება კურსდამთავრებულთა პრაქტიკული მუშაობის ეფექტურობისკენ. აუცილებელია ბალანსი აკადემიურ გამოცდილებასა და პრაქტიკული უნარების დაუფლების ხარისხს შორის	პროგრამის აღწერა, მოდულის აღწერა, გამოცდები, სტუდენტების შეფასების შედეგები (სტუდენტების მიერ შეფასება) ხელშეკრულებები დაწესებულებებთან.

3	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**			
3.1	კურსდამთავრებულთა კომპეტენციების დონე იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საშუალებას.	- ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების უზრუნველყოფა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო კვალიფიკაციით. - მაგისტრატურის კურსდამთავრებულების უზრუნველყოფა დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის საჭირო კვალიფიკაციით.	პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულმა უნდა მოიპოვოს საჭირო უნარები და კვალიფიკაციები, რათა გააგრძელოს სწავლა შემდეგ საფეხურზე, მაგალითად, ბაკალავრიატიდან მაგისტრატურის და, შემდგომ, დოქტორანტურის დონეზე. თუ დადგენილია დამატებითი მოთხოვ ნები მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამებზე მიღებისათვის, ისინი დაძლევადი უნდა იყოს ყველა ბაკალავრიატდამთავრე ბულისთვის. ამდენად, უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ კვალიფიკაციების დამაკმაყო ფილებელი დონის მიღწევა უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე.	გამოცდების შედეგები და ნაშრომები.
3.2	პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებულობას.	- რამდენმა კურსდამთავრებულმა (%–ში) დაიწყო მუშაობა პროგრამის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ? - არის თუ არა მათ მიერ მიღებული სამსახური დაკავშირებული მათი განათლების სფეროსთან? - თვლიან თუ არა კურსდამთავრებულები, რომ ისინი კარგად არიან მომზადებულნი სამუშაოსთვის? - არიან თუ არა დამსაქმებლები კმაყოფილნი კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონით?	პროგრამის კურსდამთავრებულები მიღებული განათლების მიხედვით უნდა დასაქმდნენ შრომის ბაზარზე. უფრო მეტიც, მათ უნდა მიაღწიონ სწავლის ისეთ შედეგებს, რაც მათ სამუშაოს წარმატებით შესრულებას უზრუნველყოფს	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა პროფესიული კარიერა.
3.3	ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის დახმარების შეთავაზებას. სტუდენტი იღებს ყველა საჭირო სერვისს (ინფორმაციას, კონსულტაციას და დახმარებას), რომელიც აუცილებელია მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად.	- ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტებისათვის.	უნივერსიტეტში დახმარების სერვისის არსებობა მნიშვნელოვანია სტუდენტე ბისათვის წარმატების მისაღწევად და პიროვნული/სოციალური განვითარე ბისათვის. დამხმარე სერვისი მოიცავს ადმინისტრაციულ საკითხებს (რეგისტრაციას და ა.შ.), ასევე, სოციალურ (რჩევებს) და დასვენების სერვისს (სპორტი და ა.შ.).	სტუდენტების დახმარების პოლიტიკა, სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვა.

3.4	მობილობისა და აღიარების მარეგულირებელი ნორმები გამჭვირვალეა.	- ითვალისწინებს თუ არა რეგულაციები მობილობისა და აღიარების პროცესების გაუმჯობესებას? - როგორ გამოიყენება კრედიტების სისტემა საზღვარგარეთ სწავლის შედეგების აღიარებისათვის? - აქვს თუ არა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აღიარებისათვის საჭირო დამატებითი რეგულაციები, მაგალითად, ორმხრივი შეთანხმებები პარტნიორ ინსიტუტებთან საზღვარგარეთ?	სტუდენტთა და უნივერსიტეტის თანამშრომელთა მობილობის გაზრდა ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. უნივერსიტეტებმა უნდა განახორციელონ პროცედურები მობილობისა და საზღვარგარეთ სწავლის შედეგების აღიარების პროცესების ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისათვის. ისინი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და ბოლონიის პროცესის კონტექსტში (ლისაბონის აღიარების კონვენცია, კრედიტების სისტემა და ა.შ.) არსებულ შეთანხმებებს.	შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დოკუმენტურად ჩვენება.
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**			
4.1	შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები უზრუნველყოფს ადეკვატური გარემოს შექმნას სწავლების, სწავლისა და კვლევისათვის.	- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა. - არსებობს თუ არა უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტანდარტები? მოწმდება თუ არა ისინი?	თითოეული პროგრამის სრულყოფილი აღსრულება საჭიროებს ადეკვატურ ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს და ინფრასტრუქტურას. განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი რესურსებით ინტენსიურად დატვირთული (როგორიცაა მედიცინა ან ინჟინერია, სადაც მძიმე მანქანა- დანადგარები ან ლაბორატორიებია საჭირო) და რესურსებით ნაკლებად დატვირთული დარგებისთვის, რომელთა შესწავლას არ სჭირდება დიდი რაოდენობით ტექნიკური აპარატურა. მოწყობილობები, აგრეთვე, გულისხმობს სალექციო აუდიტორიებს, სასწავლო/სამუშაო ოთახებს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის. უნდა იყოს, აგრეთვე, გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები.	შენობის გეგმა, მოწყობილობების აღწერა.
4.2	საჭირო საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა სწავლების, სწავლისა და კვლევითი მუშაობისათვის.	- რამდენადაა ხელმისაწვდომი კომპიუტერული და მედიამოწყობილობები ბიბლიოთეკაში, მათი რაოდენობა, ხარისხი, მომხმარებლის ონლაინ–ხელმისაწვდომობა სპეციალურ ლიტერატურასთან?	ეს პუნქტი შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბიბლიოთეკის, ასევე კომპიუტერული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის. ის შეიძლება, საჭიროებისამებრ, მოიცავდეს დისტანციური სწავლებასა (E-LEARNING) და რესურსებს.	საჭირო ინფორმაციაზე ხელმწისაწვდომობის აღწერა, ადგილზე ვიზიტი, ხელშეკრულებები გამომცემლობებთან, ბიბლიოთეკებთან.

4.3	პროგრამა ხორციელდება შესაბამისი სამეცნიერო და პედაგოგიური კომპეტენციის აკადემიური და სათანადო კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალის მიერ.	- აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, დამხმარე პერსონალის სტრუქტურა (ნახევარი განაკვეთი/სრული/ დამხმარე პერსონალი, სტუდენტის/ მასწავლებლის თანაფარდობა) ყველა დონეზე, მათი აკადემიური და პედაგოგიურ/დიდაქტიკური კვალიფიკაციები და გამოცდილება.	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში მოითხოვს შესაბამისი კვალიფიკაციის და რაოდენობის აკადემიურ და დამხმარე პერსონალს. აკადემიური და დამხმარე პერსონალის ურთიერთდამოკიდებულება (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კომპიუტერული სერვისი, სტუდენტთა სერვისი, ადმინისტრაცია), შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საუნივერსიტეტო პროგრამის განსახორციელებლად.	პერსონალის დაქირავების/სამუშაოზე აყვანის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრუქტურისა და რაოდენობის აღწერა, ფაკულტეტის თანამშრომელთა რეზიუმეები აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების ჩათვლით, პერსონალის დატვირთვის მატრიცა.
4.4	სასწავლო მასალა დაფუძნებულია კვლევის შედეგებზე, შეესაბამება თანამედროვე ცოდნას და სწავლის შედეგების ადეკვატურია.	- როგორაა უზრუნველყოფილი სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო, ხარისხიანი მასალების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის, ადგილზე და ონლაინ რეჟიმში?	სასწავლო მასალა უნივერსიტეტში დაფუძნებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევების შედეგებზე. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო მასალა თანამედროვეა და არა – მოძველებული. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის და ხელს უნდა უწყობდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.	სასწავლო მასალები.
4.5	არსებობს პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური გეგმა, რომელიც განხორციელებადი და გამჭვირვალეა; ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფილია.	- პროგრამის ფინანსურ დაგეგმვის განხორციელება. - როგორ არის ეს დაკავშირებული ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ფინანსურ გეგმასთან? - აბალანსებს თუ არა ფინანსური გეგმა შემოსავლებსა და ხარჯებს? - არის თუ არა პროგრამა ფინანსურად სტაბილური და მდგრადი?	თითოეულ პროგრამას აქვს ფინანსური გეგმა, რომელიც უნდა იყოს განხორციელებადი, გამჭვირვალე და უნდა აბალანსებდეს შემოსავალსა და ხარჯებს. ეს აუცილებელი რეკვიზიტია ფინანსური სტაბილურობისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.	ფინანსური გეგმა, დაფინანსების წყაროები (კერძოდ, სახელმწიფო), ფინანსური გარანტია.
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**			
5.1	მოქმედებს ხარისხის განვითარების სისტემა, რომელიც მოიცავს შიდა- და გარე შეფასების მექანიზმებს.	- როგორია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, პროგრამის განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება? - რამდენად ხშირი ხასიათი აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებულ პროგრამის შიდა/ გარე განხილვებს?	თითოეულ პროგრამას უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების საკუთარი სისტემა. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს რეგულარული შიდაშეფასების ელემენტებს, რომლებსაც მოჰყვება ექსპერტთა განხილვა ან მსგავსი გარე პროცედურები.	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია და შედეგები.

5.2	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ციკლს “დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე”.	- პროგრამის შინაარსის და შედეგების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები.	ციკლი „დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე“ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ერთ-ერთი პარადიგმაა. ის გულისხმობს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემამ შემდეგნაირად უნდა იმუშაოს: სამუშაო პირველ ეტაპზე უნდა დაიგეგმოს, (მაგალითად, „სწავლების გეგმა“); მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს („გააკეთე“); მესამე ეტაპზე უნდა ამოქმედდეს კონტროლის მექანიზმები (რა მუშაობს და რა – არა), შემოწმდეს და გაანალიზდეს შედეგები („შეამოწმე“); საბოლოო ეტაპზე შედეგები უნდა შეჯამდეს; შედეგები ახალი ციკლის დასაწყისია.	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია და შედეგები.
5.3	შემუშავებულია ხარისხის განვითარების სამოქმედო გეგმა.	- როგორ უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის მუდმივი განვითარების პროცესსა და რეგულირებას? - როგორ არის დაბალანსებული სისტემაში სტატუს კვო–ს მაკონტროლებელი და ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების სპექტები?	პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნდა მოიცავდეს ხარისხის განვითარებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საბოლოო მიზანი პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება და განვითარებაა, და არა სტატუს-კვოს შენარჩუნება. ხარისხის უზრუნველყოფა, თავისი განმარტებით, დინამიკური პროცესია.	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტაცია.
5.4	შიდა და გარე შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.	- როგორ არის პროგრამის განახლების სისტემა ორგანიზებული? - რა გზით არის გათვალისწინებული პროგრამაში საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ცვლილებები? - როგორ არის ორგანიზებული და გარანტირებული თანამშრომლების პროფესიული განვითარების საკითხი პროგრამის განახლებასთან მიმართებით?	ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შედეგები ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში. განხორციელების უადვილესი გზა სამოქმედო გეგმის განვითარებაა, რომელიც დაფუძნებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შედეგებზე და განსაზღვრავს – რა უნდა გაკეთდეს, ვის მიერ და როდის.	ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, სამოქმედო გეგმა.
5.5	ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროცედურები გამოიყენება შინაარსის, პროცესებისა და შედეგების სისტემატური მონიტორინგისათვის.	- როგორ ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროგრამის შინაარსის, მისი რეალიზების და შედეგების მონიტორინგს? - როგორ ფასდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მექანიზმების ეფექტურობა?	ხარისხის უზრუნველყოფის ყველა პროცესი მიმართულია საგანმანათლებლო პროგრამის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი პერიოდულად უნდა შემოწმდეს. თუ ხარისხის განვითარების ალგორითმი მხოლოდ სტატუს ქვო–ს აღწერს, იგი არაეფექტურია და უნდა შეიცვალოს.	ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, სტრატეგიული დოკუმენტები.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის და გაცნობიერების, უნარ(ებ)ის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის აღწერა *(02.02.2024 წ.; N24/7)*

(უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით)

1 - საკმარისი
2 - დამაკმაყოფილებელი
3 - არასაკმარისი

საგანმანათლებლო პროგრამა / ფაკულტეტი -

სასწავლო კურსი	პროგრამის სწავლის შედეგების აღმწერი კატეგორიები		
	ცოდნა და გაცნობიერება (თეორიული ან/და ფაქტობრივი ცოდნა და გააზრება, ცოდნის დიაპაზონი, სიღრმე და ტიპი, ცოდნის მოცემულ კონტექსტში ჩრთვის უნარი)	**უნარ(ებ)ი:** - დავალების შესრულების, - პრობლემის გადაჭრის, - კომუნიკაციის. (დავალების სირთულე, დავალების/პრობლების გადაჭრისათვის საჭირო კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები, კომუნიკაციისას) გადასაცემი ინფორმაციის სახე, მიზნობრივი ჯგუფის ტიპი, ინფორმაციის გადაცემის მეთოდები, კომუნიკაციური ტექნოლოგიები და მათი სირთულე)	**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** (პასუხისმგებლობა, სწავლის უნარი, ცოდნის და უნარის – გამოყენების კონტექსტი (გარემო) და მისი პროგნოზირებადობა, დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის აღების ხარისხი საკუთარ და სხვების საქმიანობაზე)